საქართველოს მთავრობის

განკარგულება №2232

2017 წლის 20 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ კონვენციის 50-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ოქმის საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენისა და მომხსენებლად გ. ჩერქეზიშვილის დანიშვნის შესახებ

1. საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის 1^1 პუნქტისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს რატიფიცირებისათვის წარედგინოს „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ კონვენციის 50-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ოქმი.

2. „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენილ ამ განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნულ ოქმზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გიორგი ჩერქეზიშვილი.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**